მ ხ ა რ ე თ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №1

2019 წლის 20 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№85 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. ბათუმი 17 ივნისი, 2019 წ.

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოსა“ და შპს „ჯორჯიან ინჟინირინგს“ შორის 2019 წლის 20 მაისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №85, რომლის საგანია **ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №10-ში მდებარე მაღალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სამუშაოები (CMR-190098654 გამარიტვებული წესით შესყიდვა, იერსახის შეცვლა, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, თბოიზოლაცია) (შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (განკ. N2183, 06.05.2019, SMP190002029))** (CPV45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები) შემდეგ თანხაზე - **554523,47 (ხუთასორმოცდათოთხმეტიათასხუთასოცდასამი ლარი და 47 თეთრი) ლარი.** სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა **2019 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი**, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა **2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.**

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ მოხსენებითი ბარათით (№1088-90; 13.06.2019 წ.) ირკვევა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (№15184/25; 29.05.2019 წ.) შემოვიდა რუსთაველის ქ. №10-ში, პირველ სართულზე არსებული კომერციული ფართების მეპატრონეთა და ამხანაგობა „რუსთაველის“ მობინადრეთა (№15313/25; 30.05.2019 წ.) კოლექტიური განცხადებები, რომლებშიც მოითხოვენ აღნიშნულ მისამართზე ჩასატარებელი სამუშაოების გადავადებას საკურორტო სეზონის დასრულებამდე (მიმდინარე წლის ნოემბრამდე).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ შეწყდეს 2019 წლის 20 მაისს გაფორმებული №85 ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთის მხრივ **ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“**, მისი დირექტორის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჯორჯიან ინჟინირინგი“**, მისი დირექტორის ზურაბი ესვანჯიას სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და 2019 წლის 20 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85 ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე შევთანხმდით შემდეგზე:

1. შეწყდეს 2019 წლის 20 მაისს გაფორმებული ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №10-ში მდებარე მაღალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სამუშაოების გამარიტვებული წესით შესყიდვის CMR190098654 (იერსახის შეცვლა, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, თბოიზოლაცია) (შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (განკ. N2183, 06.05.2019, SMP190002029)) №85 ხელშეკრულება.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ დირექტორი: სულხან ევგენიძე	შპს „ჯორჯიან ინჟინირინგი“ დირექტორი: ზურაბი ესვანჯია
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

Municipal Infrastructure and Improvement Division

Подписано цифровой подписью: Municipal Infrastructure and Improvement Division
Дата: 2019.06.17 16:33:20 +04'00'